


თავისუფლება



TRIBUNE DE LA LIBERTÉ

საპარტფელოს განთავსის უფლებებისათვის მებრძოლთა ორგანო

რედაქციის წევრები: ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ გრიგოლია, გიორგი წერეთელი

825
1974

№1

პარიზი

იანვარი 1974

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავისუფლების ტრიბუნა არ გეინდა..	ლ. ზურაბიშვილი
საბჭოთა პარტიოტიზმი	გ. წერეთელი
ვალქტიონ ტაბიძის 80 წლისთავი	ვ. ნოზაძე.
საბჭოთა რეჟიმის ხასიათი რა ხდება მსოფლიოში	მ. მელუა
ქართული ჩაი	გ. ქართველი
	რ. ჯაშვი.

თავისუფლების ტრიბუნა

გასული საუკუნის სამოციან წლებში, მოხვედის პირით, დიდმა ილიამ ბრძანა: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა ვვცუღდნოდეს“-ო. რა დიდი გზა განვლო მის შემდეგ კაცობრიობამ, ხოლო საქართველო, ბედით თუ უბედობით, კვლავ ამ იდეის განხორციელებისათვის ბრძოლაშია. ამ ბრძოლაში, კარგად ვიცით, მთავარი ციხე-სიმაგრე თვით დედა-სამშობლოა, ხოლო მის გარედ გადმონხვეწილი პოლიტიკური ემიგრაცია ამ ციხე-სიმაგრის ხიდის თავის კოშკია..

— უცხო ოკუპაციისაგან შექმნილმა მდგომარეობამ, ამ კოშკის მცირერიცხოვან გუშაგ-მცველებს დიდი ვარდაუვალი მოვალეობა დააკისრა: ძალღონის დაუზოგავდ აკეთონ ყველაფერი ის, რის კეთების საშუალებაც არ გააჩნია იქ ქართველ ერს. ვიდრე არსებობს ქართუ-

მცირედი და მნიშვნელოვანი ამბები ვარდანი; მ. გ. ოაზიციისა საბჭოთა კავშირში მ. გ. ვიქტორ ნოზაძე 80 წლისაა. კ. სალიას „საქათვ. ისტორიის“ შესახებ „მ.ბ. ჩვენი სათვისტომოს ცხოვრება. აგვ. აჯანყების წლისთავზე; სიტყვა ნ. ურუშაძის სამგლოვიარო განცხადებები.

ლი პოლიტიკური ემიგრაცია, ის ვალდებულია დარჩეს თავის ისტორიულ დანიშნულების სიმაღლეზედ; ყოველივე ყოყმანის, ორჭოფობის და დამოშობის გარეშე, მთელი თავისი საშუალებებით უნდა დაიცავს საქართველოს საერთაშორისო უფლებები და მისი ისტორიული სახეობა.

ამხილოს კაცობრიობის წინაშე საქართველოს ეროვნული ჩაგვრა, გაჭირვება. ყოველივე იღონოს, ხელი შეუწყოს საქართველოს განთავისუფლებას რუსეთის ოკუპაციისაგან და სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული, სუვერენული, ქემზარტად დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.

ამ ჩვენი ორგანოს სამოქმედო დედა აზრიც სწორედ ეს არის. მას უნდა თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

შექმნილ ვითარებაში, საჭიროდ მიგვაჩნია ერთი პე-



რიოდელი, საინფორმაციო ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა ქართველ მამულიშვილს ურთი-ერთს დაუკავშირდეს მიუხედავად პარტიულობისა და აზრთა სხვადასხვაობისა და ამრიგად არსებობდეს მყარი ნიადაგი საერთო ეროვნული ფრონტისა.

მდგენი არა ვართ. პირიქით, ჩვენთვის ცხადია რომ ერთპარტიულობას უქვეყლად მივყავართ დიქტატურისა და ტირანიისკენ. ჩენი გადაწყვეტილებას ვერც კარგად ამოუღდეთ. შევმატოთ: სიხშირე, მრავალფეროვნობა და კიდევ მეტი ვაფიქნობათ: „ბრძოლის ხმა“-ს, „ეფერია“-ს, „ქართული აზრი“-ს და „კავკასიონი“-ს დიდ-ნაყოფიერ ეროვნულ საქმიანობაში.

ლ. ზურაბიშვილი.

არ ზინდლა მონღა . . .

მაღე 53 წელი გახდებდა, რაც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს ჩენი ქვეყანა. ამ 53 წლის განმავლობაში გრძელდება უხეში ძალადობა ქართველი ერის მიმართ; მიეღი სახალხო მეურნეობა, ყოველი საზოგადო საქმიანობა, რაგინდ მცირედიც არ უნდა იყოს ის, დაქვემდებარებულია კრემლის ბატონების, საბჭოთა სახელმწიფოს ნებასურვილზე.

მეორედ, რუსები და უზბეკები უფრო სანდონი არიან 'კავკასიაში ვიდრე ქართველები, სომხები, ან აზერბაიჯანელები. მესამეც, ჩინეთთან ომის შემთხვევაში, პირველ შეჯახებაში კავკასიელებს შეასრესენ, რომ რუსის რჩეულ დივიზიებს დრო დაურჩეს საბოლოო იგრძნევადასასვლელად. და თუ ფინეთის და გერმანიის წინააღმდეგ ომებში 300,000-ზე მეტი რჩეული ახალგაზრდა დავკარგეთ, მომავალში, ჩინეთის წინააღმდეგ, კიდევ უფრო ძვირი დავგიჯდებოდა ჩენი „უფროსი ძმების“ სამამულო ომი.

მოსახლეობას ერეკებიან მინდვრებში, ქარხნებში, მადარობებში კიდევ და კიდევ უფრო მეტი პროდუქციის გამოსამუშავებლად, ხოლო ამ შრომის ნაყოფი კაცმა არ იცის სად მიდის, ან ვის ხმარდება. ფაქტი ის არის, რომ საბჭოთა მოსახლეობა და მათ შორის ქართველობა, დღესაც ისევე განიცდის სურსათ-სანოვავის, ბინის და სხვა პირველმოთხოვნილების სავენების დიდ ნაკლებობას, როგორც საბჭოთა წესწესიბილების არსებობის მთელ ხანაში. ამის შედეგად ადგილი აქვს სექულაციის გაუფიონარ აყვავებას.

ასეთ პირობებში ადგილი აქვს საბჭოთა ოფიციალურ პროპაგანდის ცრუპენტელობას, რომელიც უმკაცრეს ტირანის-დემოკრატად, იმპერიალიზმსა და გენოსიდს —ხალხთა ძმობათ და მეგობრობათ, ხოლო წარმოების მონურ სისტემას—სოციალიზმსად და კომუნისზმად ასა-დღებს. მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიები, პრესა, რადიო, ტელეფედევა ემსახურება ამ გაუფიონარ სიცრუის პოპულარიზაციას. თუ ვინმე წინააღმდეგის თქმა გაუბდა მას მიწინეე მონათლოვენ თეორეგარდიე-ლად, კაპიტალიზმის აგენტად, შვეიღობის მტრად, ნაცი-სტად, შოვინისტად და სხვა საშინელებად.

ენლა უფრო მეტად, ვიდრე წარსულში, წარმოებს და-წილა ქართველი ხალხის ეროვნული გადაგვარების, მისი გარყვების მიხნით. რუსულ ენას აცხადებენ რჩე-ულ ენად, ოქტომბრის დიდი რევოლუციის ენად, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ენად, საბჭოთა კავშირის საერ თო—სახელმწიფო ენად, რომლის ზედმიწევნით ცოდ-ნაც საკვალმწიფოა და იმის უციოდინარი ისეთივე „უ-ნ-ტერ-მენში“-ა, როგორც გერმანელი ნაციონალ სოცია-ლისტებისათვის იყო არა არიელი.

ამ ვაებატონებს, რომ ახლავე ბალხი ფეხქვევ გამოუ-ცელოთ, ხმა მალა ვაცხადებთ, რომ ჩენ არ ვართ რუ-სიკამია შოვინისტები, ჩენ სრულებითაც არ გვეჯავრე-ბა რუსის ხალხი. რუსის ერი ერთი დიდი და დირსეული ერია, რომელთანაც ჩენს მამა-პააბესაც სურდათ კე-შირ-მეგობრობის დამყარება, ჩენც გვიდა, მაგრამ არ გვიდა მონობა, არ გვიდა გათქვეფა და გადაგვარება.

ახლო 1973-74 სასწავლო წლის პროგრამის მიხედვით ქართველი ბავშვები რუსული ენის შესწავლას იწყებენ პირველ კლასიდან.

დღეს თვით რუსის ხალხიც მონობაშია მისი საუკე-თესო შვილები იბრძვიან თავისუფლებისათვის და მთე-ლი ჩენი სიმპატიები მათ მხარეხეა, რადანაც ვიცით, მათი გამარჯვება ჩენი გამარჯვების საწინდარია.

სამხედრო სამსახურს ხომ დიდი ხანია ქართველი ახალგაზრდობა კავკასიიდან დიდათ მოშორებთ. შო-რულ აღმოსავლეთში იხდის, მაშინ როდესაც კავკა-სიის სამხედრო ოლქში, როგორც მაღალი რანგის ოფ-იცრობა, ისე რიგითი ჯარისკაცები არა კავკასიელებია. ამრიგად კრემლი ერთი გასროლით სამ კურდღელს ჰკლავს. უპირველესად, სამხედრო სამსახურის ასეთი წე-სი ხელს უწყობს „ნაციონთა“ გარუსებას.

გამარჯვების შემთხვევაში, ჩენ მათ ვეტყვიოთ: „მე ჩემი მომეც, და შენს სახელსა შენ შენი გქონდეს, მტლად დავედები“ გვიდა გვეჯიროდეს, რომ თავისუფალი რუსები ჩენ ვაკვივებენ.

გაგი წერეთელი.



საბჭოთა პატრიოტიზმი სულ სხვა რამე არის; იგი არ არის ბურჟუაზიული პატრიოტიზმი, არამედ საბჭოური. რით გამოიხატება იგი? ვახუთ „პრადესა“, 1971 წლის იანვრის 8-ს ნომერში მოთავსებული არის წერილი, რომელშიც ეს საკითხი განიხილება. საბჭოური იდეოლოგია ი. პომელოვი გვიტოტყვებს, რომ არსებობს არა „პატრიოტიზმი“, არამედ არის—„საბჭოური, სოციალისტური პატრიოტიზმი“. თურმე ოქტომბრის რევოლუციის წარმოშუვა თანამედროვე, უფრო სრულყოფილი პატრიოტიზმი; კაბიტალისტურ ქვეყნებში, სადაც გამყველ-ველ-ექსპლოატატორები ბატონობენ, პატრიოტიზმი გამოიხატება თავისი სამშობლო-მიწისადმი სიყვარულოთ, ხოლო საბჭოურ-სოციალისტური პატრიოტიზმი კი არის ერთგულება და სიყვარული „სოციალისტური საზოგადოებრივი წესწყობილებისადმი“ რომელიც შეიქმნა ოქტომბრის შემდეგ, როგორც შედეგი „მეცნიერულ-მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისა. ყველა ხალხი, ი. პომელოვის ნაღრძობი ჰერის მიხედვით, „რომელიც იმყოფება საბჭოთა კავშირში,—ერთი მხრივ, თავისუფალია, ხოლო მეორე მხრივ თითოული ხალხი საბჭოთა კავშირისათვის შეგნებით მჭიდროდ გადამბულია ი მ ე რ თ ე რ მ ა ნ, რ ო მ ე ლ ი ც თვითონაც შედის საბჭოთა კავშირში და რომელიც შეიცავს და ასახავს ეროვნულ ერთიანობას ყველა ერისა და ხალხისა ამ ქვეყანაში“—ო, ესე იგი, ეს ვახლავს რუსეთი!

მაშასადამე, რუსეთი, საბჭოთა კავშირის ერთი წევრ-თავანი, ყველა დანარჩენი ერის ერთიანობას ჰქმნის და მათი ეროვნულობის გამომსახველია, და სწორედ ამას ვერ ურიგდებია საბჭოთა კავშირის მრავალნაირი მტერი, მაგრამ ეს ცოტაა. საბჭოთა სოციალისტური ატრიოტი უნდა იყოს გამტარებელი ინტერნაციონალური პოლიტიკის საერთაშორისო ასპარეზზე მარქსისტულ-ლენინური შეგნების მიმართულებით. იყო საბჭოთა სოციალისტური პატრიოტი, — ამბობს იგი, — ნიშნავს მსურვალედ გიყვარდეს თავისი სამშობლო — საბჭოთა კავშირი. იყო ერთოული სოციალისტური თანამეგობრობის და მასთან, იყო სოლოდარული მშრომლებთან ბრძოლაში, ყველა ქვეყნის კაბიტალისტების წინააღმდეგ... იყო ინტერნაციონალისტი ნიშნავს: ბუჟ მღვივე პატრიოტი და შეურთებელი მტერი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა და უნდა შეუთანხმო პოლიტიკაში ნაციონალური ამოცანები ინტერნაციონალურ მოვალეობას...

და ვინ არის იგი, რომელიც ამ პოლიტიკას განსაზღვრავს? რასაკვირველია იგი არის ბრძენი, გმირი, უძლეველი, უტოთმელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და იგი უნდა ზრდიდეს, აღვივებდეს და ფრთებს ას-

ხამდეს საბჭოთა-სოციალისტურ პატრიოტიზმს და სხვა და სხვა.

„პრადეა უკრანიი“, №29 სრულიად ვარკვენი (საჩინვესული) ნომებს თუ რაა „საბჭოთა პატრიოტიზმი—რას წარმოადგენს ის. იგი სწერს: „საბჭოთა პატრიოტიზმი — ეს არის ერთგულება საბჭოთა წესწყობილების მიმართ, ერთგულება მარქსისტულ — ლენინური მსოფლმხედველობისადმი და კომუნისტური პარტიისადმი“. და ეს პატრიოტიზმი განისაზღვრები არა მარტო სამშობლოსადმი სიყვარულოთ, არამედ არის იგი საკვირვლოდ მრავალმხროვანი, ნაყოფიერი და კეთილშობილური“—ო. და რასაკვირველია, ყოველგვარი სხვაგვარი პატრიოტიზმი დაგმოვილი არის და შეჩვენებული,—განსაკუთრებით „ბურჟუაზიული პატრიოტიზმი“!

ახლა ხომ ვასაგებია, თუ ქართულ მწერლობაში რატომ არის გამოცხადებული საბ. კავშირის სამშობლოდ? რატომ დაერქვა საბჭოთა კავშირს „ჩენი ქვეყანა“ რატომ უწოდებენ მოსკოვს „ჩენი დედაქალაქი“; რატომ არის იმი „სამამულა ომი“?

ხშირად წამიკითხება ქართული ლექსი, თუ პროზა, ხოლოც სამშობლოს უგალობენ და აქებენ, მაგრამ ვერასოდეს ვერ გვეტულობდი, რომელ სამშობლოს უძღვნიდენ ხოლმე მწერლები ქება-დიდებას: საბჭოთა კავშირის თუ საქართველოს, საბჭოურ სამშობლოს თუ ქართულ სამშობლოს.

105

საბჭოთა სოციალისტური პატრიოტიზმი ბნ პამელოვის გამოგონილი არ არის, და არც ჟურნალისტური წერილია,—ეს არის რუსული ეპოქოიდერქავანული, ბრავა-ვარდნილი გამაჟუსებელი ვოლინტიის საყოფი, რომლის მიზანია შენდებული პატრიოტიზმით საბჭოთა კავშირის მიერ დაპყრობილი ერები რუსეთს სამუდამოდ გადაჯკეკონ და რუსული ნაციონალისტური შეგნებითა და გრძნობით გაყლინითონ,—მოკვად რომ მოვკრათ,—ყველა ხალხი გააჟუსონ და აშკვარდ ერთი საბჭოური სოციალისტური ეროვნება შექმნან—რუსული.

ახლა გავიხსენოთ „კომსიმოლსკია პრადეა“—ს მიერ 1971 წლის იანვრის 8-ს დაბეჭდილი წერილი რ. ლიონოვისა, რომელიც ერთ ყაბარდოელ სტუდენტს ა. უნევეს უბასუხებს. საქმე ისაა, რომ საბჭოთა პრესაში დაიწყო პროპაგანდა შერეული ქორწინების საკითხზე. რასაკვირველია, საბჭოური მწერლები და საერთოდ კალმოსნები ქადაგებენ, რომ საქირა არის სხვადასხვა ხალხის ახალგაზრდათა შერთვა-დაქორწინება, საქირა არის შეექმნას შერეული ოჯახები. ამის წინააღმდეგ ხმა ამოუთლია ნალჩიკელ ყაბარდოელ სტუდენტსაც და საბჭოელი კალმოსანი რ. ლიონოვი მას „როზვაცს“; რატომ? იმიტომ, რომ ყაბარდოელი კითხვას წარმოადგენს:—„არ მესმის როლედან და რატომ აქებენ ჩენში შერეულ



ქორწინებას? რა თქმა უნდა, აზრი არა აქვს აიკრძალოს ასეთი ქორწინება, მაგრამ რა არის იმაში სასიკეთო, როცა ჩვენი ყაბარდოელი ან ჩრეჩი რუსი ქალს ითხოვს ცოლად? რა ეროვნების იქნებიან მათი შვილები? ვინ არის, მათ გმირებად რომ აცხადებს და უძღვნის საგანთო სტატეის, ჩემი ნება რომ იყოს, ყველას, ვინც შერეულად დაქორწინდნენ, ვურჩევდი გაქორწინებულ იყვნენ“-ო...

რა გულუბრყვილო ვინმე ყოფილა ეს ყაბარდოელი სტუდენტი! იქნებ ესმის და გაეგება მას, მაგრამ ვერ ბედავს თქვას, რომ ეს ქადაგება ემსახურება ხალხთა გარუსების პოლიტიკას. ალბათ ამის თქმას ვერ ბედავს და გულუბრყვილოდ ეკითხება რ. ლიონოვს: რა ეროვნებისა იქნებიანო შერეული ოჯახის შვილები? ცხადია,— იქნებიან გარუსებული ყაბარდოელები, ჩერქეზები, ქაზრელები, თათრები და სხვანი—გარუსებულნი!

ყაბარდოელი სტუდენტი განაგრძობს:—სა სიკეთეა იმაში, რომ დემობილიზაციის შემდეგ მცირე ეროვნებათა წარმომადგენლები თავისი მშობლიური კუთხიდან შორს დასახლდებიან, ირთავენ ცოლს და ივიწყებენ მშობლიურ ენას, კულტურას, მშობლებს? ვინ თქვა, რომ სწორედ ასე მოხდება ეროვნებათა შერწყმა? მე უპირველეს ყოვლისა ყაბარდოელი ვარ სულითა და ხორციით და ვარ დანტერესებული ჩემი ხალხის ენისა და კულტურის განტარებით, მისი რიცხობრივი ზრდათა...

რას უპასუხებს რუსი კომუნისტი, ნაციონალისტი, გამარუსებელი რ. ლიონოვი?

პირველ კითხვაზე, თუ რა ეროვნების იქნებიან შერეული ოჯახის შვილები, — რ. ლიონოვ ბრძანებს — „ბავშვები თვითონ გადასწყვეტენ ამ საკითხსა“.

შენედეთ ამ ბაიყუმ რუს ნაციონალისტს, კომუნისტს!!! არაა გასაკვირი, — მთელი რუსული პოლიტიკა მიმართულია საბჭოთა ხალხების გათქვეფა-ასიმილაციასკენ და რ. ლიონოვი, ერთი უნიჭო წარმომადგენელია ამ გამარუსებელი პოლიტიკისა.

რაღას უპასუხებს ეს ვაჟბატონი ყაბარდოელ სტუდენტი მეორე საკითხზე? რ. ლიონოვ წერს:—ყაბარდოელი „უნივერსიტეტის სტუდენტი“ რომ არ იყოს, მოვაგონებდით, როგორ იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარების საფეხურზე ჯერ გვარი, შემდეგ ხალხი, შემდეგ ეროვნება და ბოლოს ერი. რა თქმა უნდა, ეს პროცესი ყველგან ვანვითარდება. მეცნიერებს მიანნათ, რომ შეიქმნება უფრო მსხვილი ეროვნული შენაერთები. 1926 წელს ჩვენს ქვეყანაში გამოყვანილი იყო 196 ეროვნული ერთეული. 1959 წელს კი—100. სტატისტიკა აღვანს: 87 მცირე ეროვნული ჯგუფი შეერწყა მასთან ერთად, კულტურით და ტერიტორიით მონათესავეთა“-ო.

მოკლედ მოვახსენებთ: გარუსდნენო. ხომ უნდა შეიქმნას „მსხვილი ეროვნული შენაერთები“ ანუ გაითქვი-

ფონ რუსეთში!? 87 მცირე ეროვნული ჯგუფი (!) უკვე გათქვეფილა და სხვა დიდრონ ეროვნულ ჯგუფებსაც ამას პირდენიან.

აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, რ. ლიონოვს კარგად ესმის რას ლაპარაკობს და რას ქადაგებს. ეს არის ერთი ეროვნული უდიდესი რუსეთის შექმნა პატარა ერების გადაყლაპვითა და მონელებით. შექმნა საბჭოთა ადამიანისა, რომელსაც თავისი ეროვნული სახე აღარ ექნება, ვახდება რუსი დიდი კომუნისტური რუსეთის საკეთილდღეოდ და მსოფლიოს გასაბედნიერებლად...

რ. ლიონოვის სხვა მახინჯე ამბებს აღარ ვეხები,— ეს უკვე ზედმეტია.

ვ. ნოზაძე.

საბჭოთა რეჟიმის ხსენებით


აღიარებული ფაქტებიდან

ჩვენს მიწაწყალზე უთვალავი საჭირობოტო კითხვაა, რომელთა გაურკვევლობა და გადაუტრელობა, არა მარტო ყოველდღიურ მის ცხოვრებას აფერხებს, საქართველოს მომავალსაც საფრთხეში ადგებს. რა თქმა უნდა საქართველოში დღეს ამ კითხვების მოწესრიგება მხოლოდ კომუნისტური პარტიის კუთვნილებაა, ოღონდ კი, მშრომელი მასიდან ნებისთ ჩამოშორებული ეს პარტია ამას თავს ვერ ართმევს და, ცხოვრების ყველა დარგში, ერთხელ ფეხი გარიდებულ ქაისს ზრდის და ანეთარებს.

არც ერთი მარცვლი ხორბალია სათადარიგოდ გადაღებული, რომ მოუსაკლობიან წელიწადში სხვის სამათ-ზოვროდ არ გახდნენ მდიდარსა და უზარმაზარ ტერიტორიაზე დასახლებული საბჭოელები. არც იმის ორგანიზაციაა მოწყობილი, რომ მოსავლიან წელიწადში ხორბალი მინდვრიდან წისქვილამდე მივიდეს. ხორბალით დატვირთული მთელი რიგი კამიონებისა ვაზაში იკარგება, სპეკულანტების ხელში გადადის და მცირე ხელფასის მქონე მშრომელები მაინც შვიერი რჩებიან...

ქალაქის და სოფლის მეურნეობის ყველა ნაწილში ასეთი დეზორგანიზაციაა დამყარებული, მტაცებლობაა დაწესებული და, ეს მაშინ, როცა ერთად ერთი ვაზბატონებული კომუნისტური პარტია მალე ექვს ათეულ წელს დაითვისოს, რომ შეუდავებლად და შეუცვლელად ქვეყანას მართავს. ამიტომ სჯობს, სანამ ამ მწარე პოზიციებს საითთოდ შეეცხებოდეთ, გაეარკვიოთ ხასიათი საბჭოთა რეჟიმისა.

გასაკვირი არ არის, რომ ეს რეჟიმი თავისუფლების მომხრე და დამცველ დემოკრატიულ პარტიებს თავს ესხმის და მათთან ბრძოლაში სისხლის ღვარს აყენებს არ არის გასაკვირი, რადგან ცნობილია, რომ ასეთია ბუ-



ნება დიქტატორის, მან თავისუფლების მოტრფიალედ ძალები არ უნდა გააჰკუპანოს, თუ უნდა საკუთარი არსებობის შენახვა, დღის განმავლობაში.

მაგრამ, რაც ვასაკვირია, ვგის არის, რომ კომუნისტური წყობილების სულის ჩამდგმელთა შორის ანგარიშის გამასწორებელი ომია განხლებული. ეს შუღლი, ერთმანეთისადმი უნდობლობა და სიძულვილი ოქტომბრის ხელისუფლების დაბადებიდან იწყება და, თუმცა მას კომუნისტებისათვის დამცირებისა და სახელის გატეხის მეტი არაფერი მოუტანია, იგი დღესაც მძინევარებს და დინამიურად ვრძელდება.

ამის საილუსტრაციოთ, საქართველოში ჩატარებული ზოგიერთი დრამა გავისხენათ.

კრემლი საქართველოში თუ ვინმეს რაიმე უფლებას უწყალობებს, ეს საქართველოს კომ. პარტიის პირველი მდივანია. იგი ჯერ კრემლის ვასალი ხდება, შემდეგ კი საქართველოს სენიორი, ამისდამიხედვით იგი ქართული მართლმადიდებლობის ფაქტიურ ხელმძღვანელად ითვლება.

საბჭოთა ისტორიას არ. ახსოვს, რომ კომუნისტური პარტიის პირველი მდივანისათვის ვინმეს საჯაროდ კრიტიკა ვაეცუბებინოს. იგი თავისი ფუნქციის შესრულების დროს, შეუცდომელად ყველასათვის დილაგორი პიროვნებად არის გამოცხადებული. მისი სხენება მხოლოდ ქებითა და დიდებით შეიძლება. მაგრამ, ვერც იმას ნახავთ ისტორიაში, რომ რომელიმე პირველ მდივანს თავისი ფუნქცია დაეკრულებინოს ისე, რომ იგი ლანდლაგენებით არა გაესტუმრებინოს დარჩენილ პარტიულ ხელმძღვანელებსა და საბჭოთა პრესას. ყველა უბედურება—და ასეთი უბედურება ხომ ყველა დარგში უამრავი—სულ მისი უნიჭობისა და წინდაუხედაობის ბრალი ყოფილა. იგი ყოფილა კომუნისტური მშენებლობის შემარცხვენილი, მშრომელი ხალხის და საბჭოთა წყობილების მოლაღატე...

ამას საუკეთესოდ გვიხსიათებენ ჩარკვიანისა და მუჟანაძის მაგალითები. ჩარკვიანი 15 წელი იყო საქართველოს კომ. პარტიის პირველი მდივანი, მუჟანაძე კი, ამ პოსტზე ოცი წელი ბრძანებლობდა.

სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ამ ორ ადამიანს მთელი 35 წლის განმავლობაში შეუფერხებიათ „კომუნისტური მშენებლობა“ და შეუწყინათ მრავალი უბედურება მშრომელი ხალხისთვის და საბჭოეთისათვის... და ამას გულზე ბელადაკრეფილი უტურებდენ სხვა კომუნისტები!!!

კომუნისტური საბჭოთა ადამიანების ასეთი განსჯა-გასამართლება, ეს სულ სხვა საკითხია, მხოლოდ ჩვენ ეს უტყუარი მაგალითები საბჭოეთში ადამიანთა შორის დამოკიდებულების განსასწავლავად დაგვირდება.

ძნელად დასაიწყებელია ბუღუ მდივანი და მამია

ორახელაშვილი. ესენი ბოლშევიკური მეთოდების წევრები იყვნენ და თავისუფალი საქართველოს დასაყრდენად შემოსიულ ბოლშევიკურ ურდოებს უნდა დაეხმებინათ ბით მოუძღოდნენ წინ.

ბ. მდივანი საქართველოს რევკომის (კომუნისტური მთავრობის) პირველი თავმჯდომარე, მოსკოვის ჩეკაში შეიპყრო და ხელბეშვარულმა, დასახერხებლად გამოხადებულმა საკანის ქვის კედელს მიახეთქა თავი და სული დალია...

ორახელაშვილი კი, ათეულ წელთა განმავლობაში თამაშობდა კრემლიდან მინდობილ მრავალწინამდებარე როლს, იყო თბილისის ცნობილი რუსული გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორი. ერთ მშვენიერ დღეს ისიც გაქაჩეს და, მოსკოვიდან სიმბოლურად შემოტანილი ჩაქუჩით დაუჩიჩქვეს ძვალი და რბილი. მასაც ენით გამოუთქმელი წამება და სიკვდილი ხვდა წილად...

კაცმა არ იცის და ვერც ვაიგებს, თუ რა ბედი ეწია ლენინისა და კრემლის მთავარ ემისარს სერგო ორჯონიკიძეს, ისე, როგორც ყველამ ვიცით და ვაიგებთ ფილიბე მახარაძის პრაიდი ტრალიცა. ამან ვერც თავისი ბოლშევიკური ბიდი ავტორიტეტით და ვერც რუსული საოკუპაციო ჯარისკაცების შევიღებლად აყვანით ვერ დაიმსახურა კრემლის ნდობა და „საქართველოს დამოუკიდებლობის დანგრევანზე“ მწარე ბუტბუტით, ნახევრად შერყეული მივიდა კუბოს ფიტრამდე.

ესენი განცალკევებული მაგალითები არ არიან. ეს არც კომუნისტური პარტიის უბრალო თვალმაქცობაა—**ეს ამათზე მეტი საშინელებაა**—**ეს მთელი სისტემაა, ეს საბჭოთა რეჟიმი გახლავთ**, რომლის წინაშე ყველა შიშით უნდა ცახცახობდეს: პაოლო იაშვილს და გალაქტიონ ტაბიძეს თავი უნდა მოაკვდევინოს, მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე უნდა დაიხვიტოს...

ლენინზე და კრემლის ფასადზე მოოცველი კომუნისტები, ამავ ლენინზე და კრემლის ფასადზე მოოცველმა კომუნისტებმა უნდა აწამონ საპრობილეუმი, გადასახლონ ციხეებში... ვისაც ბედი ეწევა და ქართულ მიწაწასს შერჩება, ყოველდღიური შიშისა და ტერორის ქვეშ უნდა ამოხდეს სული...

ჩარკვიანი მისმა მემკვიდრემ მგელაქემ „გასამართლა“. ეს მას—მისი დღეის მომლოდინემ გადაუხადა. მუჟანაძემ, არა მარტო თავის წინამოადვლეს, სტალინსაც კი წასწავა. დღეს კი, მისმა შემცველმა შევარდნამე მასზე იჯერა გული... ვილადა სახვალის ემზადება, რომ შევარდნამეც შევსაშიშ ვადარიცხოს. საბოლოოდ ყველა ქართველი კომუნისტი ასეთ ბედს მოელის. ისინი მართლაც ამისი ღირსნი არიან, მაგრამ ვაი, რომ მათი ამგვარი ვარჯიშობით ქვეყანა პარტახდება, ხალხს სული ეხუთება...

სად არის ამ მოუშორებელი ჭირის სათავე?
ამის ვირუსი ლენინმა კრემლში შეიტანა, იქ დააბუღა და მას მზრუნველად სტალინი მიუჩინა. მოძლიერებულმა ჭირმა ჯერ ლენინი იმსხვრებლა, მერმედ ოქტომბრის ხელისუფალნი (ზოგი თითო-თითოდ, ზოგიც ჯგუფ ჯგუფად) და კალისავით მიელ საბჭოეთს მიედო.

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი



ატმის ყვავილენი

რტოებში ავობს ბებერი ქარი, ყვავილთა ჯარი ფიფქით ბანაობს. ტყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი, ნანაობს ქარი და მიქანაობს. და ქარი შეხვდა ატმის ყვავილებს ვარდისფერ ღილებს შეატყო ყრუოლა, ფრთა დაატოლა გაუშეულ ღილებს დაწვედა ბილილებს და აათროლოა. ატმის ხე იდგა თაიფულივით, იქ მას მიღვეით უთაროდა სული, შორით მოსული გაზაფხულსსივით და ნამთა მძივით გარემოცული. ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი, ვით დედოფალი უცხო მხარეში; სინარჩარეში სწევდა მზის ძალი და გრძნობათ ალი სიმწუხარეში.

მერმინდელი თაობის კონტესტატორებიც მაგვარი ქირით აღმოჩნდნენ შეპყრობილნი. კრემლში კი იდგეს ბრეჟნევი-სუსლოვის ქილილა, მათ მოუწესდნენ მომადეც არ უნდა გაიმარჯვოს, ბოლშევიკურ ვირუსს ამით არაფერი დააკედება.

ეს ქირი ხალხთა შეგნებულმა ამოძრავებამ უნდა მოსპოს.


მ. მელუა

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰვავდა, როცა ლეღავდა მზით აღჭურვილი, მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა და ხშირად მწვავდა ტრფობის სურველი. მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი და ფრთა მეღვარი შემოახვია, ახლაც ატყვია ხეს განაზნარი, ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია. როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი, შემდეგ აშლილი და აფრენილი— გადაცვენილი ატმის ყვავილი იყო დაღლილი და მოწყენილი. ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა — მტვრით გაისვარა წყალთა ლიკლიცი, ყვავილი იგი მოკვდა და ჩქარა წითლად დაჰფარა ბალის ბილიცი. ბალის ბილიკზე მივიდვარ და თან გამრცენელ ატამთან ზღვები გროვებდა, საღამოვდება და მზის ჩასვლასთან თანდათან მწუსრი მიახლოვდება. მე აღარ ვდარდობ... რა მსურს, რას ველი? ვით მზის ნათელი და ღამის ჩრდილი, მიფვობს სიყვდილი—ქნობის მსურველი, გაქრა სურნელი, დაქნა ყვავილი.

1915

გალაქტიონ ტაბიძე

პოეტ გალაქტიონ ტაბიძეს დაბადებდან 80 წელი შეუსრულდა. საქართველოში დიდი ამბით იქმნა აღნიშნული ეს დიდმნიშვნელოვანი თარიღი. შეიქმნა გალაქტიონის საიუბილეო კომისია სქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ვ. სირაძეს თავმჯდომარეობით. გალაქტიონის იუბილეუსად მიძღვნილი საღამოები ჩატარდა რესპუბლიკის ყველა სოფლებში, ქალაქებში; ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვან კულტურის და ხელოვნების ცენტრებში, ამ ზეიმთა აპათეოზი კი ვახლ-



დათ: 2 ნოემბერს, თბილისში, ფლარმონიის დიდ დარბაზში გამართული საღამო. აქ ადგილობრივი პარტიისა და მთავრობის ბოზოლების გარდა, მოწვეულნი იყვნენ ოფიციალური საბჭოთა საქართველოს რჩეულები ყველა სფეროდან და მოკავშირე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების წარმომადგენლები.

ყველა ეს ზემიები საოკუპაციო ხელისუფლების მიერ იყო მოწყობილი და ორკესტრირებული. მისი მიზანი იყო არა გენიალური პოეტისადმი თავყენება, არამედ ახალი დროის ქართველი ორფეოსის ჩანვის გამოყენება ქართველი ერის ნების უხეში დათარგუნვის ფაქტის მისაჩქმალავად და საბჭოთა რეჟიმის მახინჯი შენობის მოსახატავად.

ვ. სირაძედან მოყოლებული ყველა ოფიციალური ტენორები ირ. აბაშიძეს და ბ. ჟღენტის ჩათვლით, ვალაქტონში არადებდენ მისი შემოქმედების იმ ნაწილს, რომელიც ხასიათდება საბჭოთა რეჟიმის მეზობტეობით და პოეტ-პროპაგანდისტობით. ქართული პოეზიის და საერთოდ ქართული აზროვნების სავალალოდ უნდა ითქვას: ასეთ კურტიზანულ ხასიათის ლენსებს არა მცირედ ადგილი უკავია გ. ტაბიძეს შემოქმედებაში. თუ ეს როგორ, რანაირად, ან რა პირობებში მოხდა, მე ამას აქ ვერ შევხებები. ამისათვის არც ადგილი მაქვს და არც შედის ჩემს დღევანდელ განზრახვაში. დაიწყო ნებული ვარ: როდესაც თავისუფლების ზარები ჩამორეკავენ საქართველოში, ყველა ამ საიდუმლოებებზე ჩა მოვარებული უხეში ფარდა აიხდება და საცნაური გახ-

დება, არა მარტო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალები, არამედ მისი თვითშეფასებაც. დღეს აქ კი მინდა ხაზი გაუსვა, ამ რამდენიმე სტრუქტურაში იმ ამბავს რომ, ვალაქტონის იუბილეს არა მარტო ოფიციალური საბჭოთა საქართველო ზემიობს, არამედ პოეზიის მოყვარული მთელი ქართველი ხალხი. გარნა ზემიის მოტივები სულ სხვა და სხვანი არიან. უდავოა: ვალაქტონის შემოქმედების ის ნაწილი, რომლითაც ასე ამჟამბს დღევანდელი ოფიციალური საქართველო, დავიწყებას მიეცემა საბჭოთა რეჟიმის გადაშენებასთან ერთად.

პირიქით შემოქმედელი: „ლურჯი ცხენები“-ს, „რაც უფრო შორს ხარ“-ის „გურჯის მთები“-ს, „მე და ღამე“-ს „უბნის ყვავილები“-ს „ჩემი ქეთისი“-ს „ქებათა-ქება ნიკორეშვილის“-ს და სხვა მუსიკების, რაც უფრო მეტი დრო გავიღის მით უფრო მეტად აკავაშდება საქართველოს უღრუბლო ცაზე, მარგალიტებით აკიფდება იგი შოთა რუსთაველის თანავარსკვაველში და დასასრული არ ექნება ამ ბრწყინვალეებს სანამ ქართული ცვილი-ზავია არ გადაშენდება. სანამ ქართული ენის „წუაროს თვალა“ არ ამოშრება.

ყველა ქართველის სანუკვარი ვალი იზრუნოს, რომ ეს ძვირფასი და ანკარი წყარო არ ამოშრეს. ამიტომ ვზემიბთ ჩვენი უკვდავი ქართული ენის მესაიდუნლის — ვალაქტონ ტაბიძის დაბადებას.

ქორიკიონი.

რა ხდება მსოფლიოში

„თავისუფლების ტრიბუნის“ პირველი ნომრის გამოცემა ემთხვევა 1974 წლის დასაწყისს. ამიტომ ნორმალური ერთგვარი შეჯამება გავუკეთოთ გასულ წელში მომხდარი პოლიტიკური მოვლენებს და თუ შესაძლებელია მივანიშნოთ მათი გავლენა ამ ახლად დაწყებული წლისათვის. ჩვენი ჟურნალის მოცულობა და ხასიათი ნების არ გვაძლევს მოვლენების დეტალურად განხილვისას. ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ მთავარი მოვლენების გავრცელებულ აღწერებით.

როგორც დიდი ვაზეთების, ისე რადიოს და ტელევიზიის კომენტატორები იმ აზრის არიან, რომ 1973 წლის ბოლო ხასიათდება ვაზრკვევლი შიშის გრძობებით. ეს იმ დროს, როდესაც ერთი მხრივ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის დამყარდა ნორმალური სახელშეიფო ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის მთავრობა სურვილს გამოთქვამს დასავლეთ ევროპასთან ურთიერთ თავდაუსხმელობისა და ეკონომიური თანამშრომლობის ხელშეკრულების დასადებად. ამის თაობაზე უკვე შეი-

კრიბნენ ჰელსინსკიში ნიადავის მოსამზადებლად და მომავალი ევროპის კონფერენციის დღის წესრიგის შესადგენად. მეორე მხრივ და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მსოფლიოს მოვლენების განვითარებისათვის, ამერიკის შეერ. შტატების და საბჭოთა კავშირის შთავრებები თითქოს შეთანხმდენ სადაო საკითხები მოლაპარაკებით მოავკარონ, და ხელი აიღონ ცივი ომის წარმოებაზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წასრულში.

ნიქსონის ვიზიტს მოსკოვში მოჰყვა, ვასტორ წლის ზაფხულში, ლეონიდ ბრეჟნევის ვიზიტი ნიუ-იორკში. ოფიციალურად ყველაფერმა კარგად ჩიარა. ხელი მოაწერეს მნიშვნელოვან საგვარა და ტენსიკურ შეთანხმებებს. საბჭოთა კავშირს ამერიკულებმა ალუთიები დოლარები საუკეთესო პირობებში... ლ. ბრეჟნევა სხარულისაგან კინლამ კისერში აკოცა პრეზიდენტ ნიქსონს.

ვიეტ-ნამში ამერიკელი ჯარისკაცები აღარ კვდებიან, რადგანაც ამ უკანასკნელმა თავისი საქსადიციო არმია გამოიყენა საზრრეთ ვიეტნამიდან.



კიბურის ომიც (არაბებისა და ისრაელების უკანასკნელი ომი) საბედნიეროდ შეწყდა და დღეს, გუშინდელი მოშულარნი, მრავალ მაგიდას უსხედან ზაფის ჩამოვლებს პირობების გამოსანახავად. თუმცა ამ ომმა კაცობრიობა კინაღამ ატომიური ომის საშიშროებას წინაშე დააყენა: ეს იმიტომ, რომ ლ. ბრენენგმა პირობა არ შეასრულა და არაბების დასახმარებლად ომში თავისი ჯარების ჩარევა მოიწადინა. ისევე, როგორც კენდი-ბრუ-შნოვის დროს, რ. ნიქსონის მტკიცე ვადაწყვეტალებამ: ყოველი დასულებით, მათ შორის ატომიური იარაღის გამოყენებითაც, წინ აღდგომოდა საბჭოების ინტერვენციას გასჭრა, და კრემლმა უკან დახევა იკარა.

კიბურის ომს მოჰყვა ერთი არა სასიამოვნო შედეგი ყველა ინდუსტრიულ ქვეყნებისათვის. არაბთა ქვეყნებმა შესძლეს ურთიერთშორის ქიშპობის დაძლევა და შეთანხმდნენ საერთოდ გამოიყენონ ის შესანიშნავი იარაღი, რომელიც მათ უხვად გააჩნიათ — ნავთი. არაბულმა ქვეყნებმა: ერთის მხრივ დააწყეს ემბარგო ნავთზე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ისრაელს ამა თუ იმ გზით ტელს უმართავდნენ და მეორეს მხრივ დიდად მოუმატეს გასაყიდი ნავთის ფასს. ვინაიდან ევროპის ინდუსტრიული ქვეყნები და იაპონია თითქმის მთლიანად დამოკიდებულია ამ მხრივ სპარსეთის გოლფის ნაპირებთან მთავალ ნავთზე, ვასაგებია, რომ ამ ქვეყნების ინდუსტრია და მასასადამე მთელი ეკონომიკა იძულებულია მნიშვნელოვანი სიძნელების წინაშე. ნავთის გაძვირებას აუცილებლად მოჰყვება სხვა ნედლი მასალის გაძვირებაც, რომელიც მიიღეს ინდუსტრიალურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან. ამას უმჯობესად, მოჰყვება დამზადებული საქონლის გაძვირება, საქონლის ნაკლები რაოდენობით გაყიდვა, რის შედეგად საშიშია არ მოხდეს წარმოების ტემპის შესუსტება, რაც უკვე შეინიშნება ავტო მანქანების ინდუსტრიაში, და... უმუშევრობა.

ეკონომიურ სიძნელებებს, რომლებიც ჯერ კიდევ მთლიანად ცხადნი არ არიან, ემატება სკეპტიციზმი რევილიზაციონის ჩამოვლების შესახებ. არაგის არ სჯერა, გარდა დოქტორ კისინჯერისა, რომ სამხრეთის და ჩრდილოეთის პოლიუსების ერთ წერტილში თავის მოყრა შეიძლებოდა. ვიეტნამსა და აზლი აღმოსავლეთში მოწინააღმდეგეებს ისეთი შეურიგებელი პოზიციები უკავიათ, რომ სასწაულის გარეშე მათი დაზავება შეუძლებელი სჩანს, განსაკუთრებით თუ საბჭოთა კავშირი ვააგრძელებს მათ სამხედრო დახმარებას. საგარეო სამინისტროებმა კარგად იციან, რომ კრემლის ბატონების სიტყვებსა და საქმეს შორის დიდი ზღვარია და არაგის არ სჯერა, რომ მსოფლიოს ძალით გასაბჭოებანზე მათ ოცნება შეეწყვიტოთ. საქმარისა დასავლეთის დემოკრა-

ტიის ოდნავ შესუსტება სამხედრო და ეკონომიურ ხისათისა, რომ საბჭოებმა მიზეზი მონახნენ, დაემათი მოძმე კომუნისტურ პარტიების „დასახმარებლად“ მსაძირან არმიები. ალბათ, ყველავერი ეს მიზეზია იმ გაურკვეველი შიშისა, რომელზედაც ზემოდ გვეყონა ლაპარაკი.

1973 წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. დასაწყისში დოლარის ფასი სხვა დევიზებთან შედარებით ძალიან ეცემოდა. ამერიკის კაპიტალი ქვეყანას და უცხოეთისკენ მიემუერებოდა, განსაკუთრებით იაპონიისკენ და გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკისკენ. ინდო-ჩინეთის ომში გახლართული, დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც ჩინეთთან, ისე საბჭოთა კავშირთან. ამას ზედ ეროვდა შინაური არეულობა, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნების დროს მომხდარი დემოკრატიული პარტიის მთავარ შტაბში ჯაშუშობის ცდა, რომელიც „უორტერგაიტის საქმედ“ არის შესული ისტორიაში, და ვიცე-პრეზიდენტ სპირო ანივეის ქრთამების ამბავი, როდესაც ის ჯერ კიდევ არ იყო არჩეული ამ მნიშვნელოვან პოსტზე; ყოველივე ეს ქმნიდა ამაფათქებულ ატმოსფეროს თვით ამერიკის საზოგადოებრივ აზრისათვის. რ. ნიქსონმა და მისმა სუციალურმა მრჩეველმა, საგარეო საქმეებში, არჩი კისინჯერმა შესძლეს მდგომარეობის რადიკალური შემობრუნება. ერთ და იმავე დროს მოხდა დასუსტება მათ ჩინეთთან და ლ. ბრენენგის საბჭოთა კავშირთან. ამერიკის ჯარები სტოვებენ საზღვრთ ვიეტნამს, რითაც ხელები ტანება ამერიკის დიპლომატიას. და კისინჯერი, ამჟამად უკვე სტატს-სეკრეტარი, დირიჟორობს აზლი აღმოსავლეთში, ისრაელის და არაბების დაზავებას, ამას დაუმატეთ ისიც, რომ ნიქსონის აღმინისტრაციამ ამ ერთი წლის განმავლობაში სრულიად შესძლო ფინანსების გაჯანსაღება და დღეს დოლარმა კვლავ დაიბრუნა თავისი ძველი სკიპტრა და გვირგვინი.

ამერიკა დღეს-დღეობით კვლავ რჩება მსოფლიოში უძლიერესი ქვეყანა თავის სიმდიდრით, თავისი გამოუმუშავებული პოლექტიით და საერთოდ თავისი დინამიზმით. უკანასკნელი ლაქა შეერთებული შტატებისა, ეს არის „უორტერგაიტის“ სკანდალი.

თუ ნიქსონმა შესძლო ამ საქმეში თავის მართლებად, მაშინ იგი შევა, როგორც ერთ-ერთი დიდი პრეზიდენტი ამერიკის სახელმწიფო ისტორიაში. თუ არა და ის ალბათ იძულებული იქნება თავისი პრეზიდენტის ფუნქციები სხვას ვადასცეს, როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ბლუსითი მოკლელი ამბავი, იგი მოწმობს ამერიკის დემოკრატიის ბრწყინვალე დადასტურებას. ამ ამბის შემდეგ ყველასათვის აშკარაა, რომ კანონის წინაშე აპერიკაში, არავინ ტაბუ არ არის, თვით ყოველის შემძლე პრეზიდენტიც კი.

• იმევე ხანებში საბჭოთა დიპლომატიამ ზოდიერით წარმატებას მიაღწია მათს ჩინეთის იზოლაციისა და სტრატეგიული შემოქალაქის სფეროში. ათარაღებს ინდიეთს; ინდიეთის ოკეანეში თავს უყრის დიდძალ სამხედრო ფლოტს; ახდენს აღდანიტრანში სამხედრო ვადატრიალებას. არც ჩინეთს სძინავს, ახდენს სამხედრო ძალების რეორგანიზაციას, წარმატებით ანხორციელებს ატომიური ძალების და თერმო-ნიუკლეური ბომბების აფეთქების ცდებს. საბჭ. დიპლომატიას კარტებს ურევს ევროპისა და აფრიკის საქმეებში. უახლოეს მომავალში უნდა ევლოდეთ ამ ორ კომუნისტურ იმპერიას შორის მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავებას. საბჭოებმა ვერ შეხსდეს მათ სასარგებლოდ, ჩინეთში, შინაგანი ვადატრი-ალების მოხდენა. მათს ჩინეთი ტერიტორიატურ პრეტენზიებსაც რომ არ აცხადებდეს, კრემლისათვის ჰიულე-ბელია კომუნისზმის ორი ცენტრის არსებობა. ქართველები ყველგან უნდა იყვნენ და სულ მუდამ უნდა ფიქრობდენ საქართველოს ინტერესებზე.

ევროპა გაერთიანების გზაზე მრავალ სიძნელეს აწყდება. მსოფლიოში ყველაზე უფრო ძლიერი წარმატების საშუალებებით და ინდუსტრიალური დინამიზრებით, პოლიტიკურად ისე დაქვეითდა, რომ არაბიუტის კი აღარ ეროდებან, ხოლო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად საბჭოთა კავშირმა და ამერიკამ საქართველს არ დიანახეს მათი მონაწილეობა. ევროპაში დღეს ყველა პოლიტიკოსი ატყობს ამ მდგომარეობის შეფერვებლობას, მაგრამ ეროვნული სუვერენობის დათმობა ყველას უჭირს. წარსულის დაეწყება ადვილი არ არის და წარსული ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ არ მეტყველებს. ჩვენი ხანა ერთა ათქევის ხანა არ არის. პირიქით: ერთა თეთვამორკვევა და ჩამოყალიბება არასოდეს ისე აქტუალური არ იქვია, როგორც დღეს. ერთა შორის კავშირები დღეს მხოლოდ ერთა სუვერენობის პატივისცემისა და დაქვეის ფარგლებში ხორციელდება. ასევე, თუ რუსეთს უნდა დღეს მის მიერ დაპყრობილ ერებთან კეთილმეზობლური კავშირების შენარჩუნება, მან უნდა მისცეს ამ ერებს თვისუფალი არჩევის საშუალება. ძალადობა კი წარმატებას მის მომავლი არ უწყობია.

გიორგი ქართველი

პარტული ჩიი


მოვახსენებ მკითხველს, რომ ჩაის დიდი მოყვარე ვარ. ვიყავი იმ დღეს ერთ დიდ მალაზიაში და „დელიკატესების“ განყოფილებაში ენახე ლურჯ-წითელი კოლოფები რუსული წარწერით: „გრუზინსკი ჩაი ექსტრა“. გვერდზე ვერმანახულა: „რუსული ჩაი საქართველიდან“. ამ უქანასწულმა სიტყვებმა ცოტა არ იყოს ვამოკირავა.

„კავკასიონის“ მე-14-ე რვეულში მოთავსებული ყოვლად საინტერესო და მნიშვნელოვანი შრომა: „ნაწილი“ წილოვანი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური აღმშენებლობა“ მომავინდა. — ეს სისულელე რას ნიშნავს, ძეგლი, რას ნიშნავს „რუსული ჩაი საქართველიდან“? არსად არ და არსად არ წამიკითხავს: „ინგლისური ჩაი ცვილილიდან“ ან და „ჰოლანდიური ჩაი ინგონეზილიდან“. მერე ვაფიქვებ, არა უშავს რა, მთავარია, ამ დიდი ხნის მერე პირველად ჩვენთვის ჩაის დავლევ. თანც სხვა რამის გამო ექვევობდი. არა ვარ თავისთავად მომხრე საბჭოთა სექსპორტო საქონლის ყიდვისა, რადგან ამას მუნათა ექსპლოატაციის დახმარებად ვთვლი. დაბოლოს ქართველი ჩაის დაღვეის სურვილმა გამიმარჯვა და ორი კოლოფი ვიყიდე. ცნობილი „დელიკატეს“-ის გამო ძვირიც არ იყო. როცა შინ მიველი, უფრო დიდ ყურადღებით დავათვალიერებ ეს კოლოფები და რას ვკითხულობ „პატარა ასობებით რუსულ ენახე დაბეტილილს“ რ. ს. ფრესკა. — რუსესსაჩაროდ“, ე. ი. „რუსეთის ს. ს. რესპუბლიკა — რუსეთის სახელმწიფოს ჩაის პროდუქცია“. მკითხველმა ყურადღება იმას უნდა მიაქციოს, რომ კოლოფზე არ სწერია: ს. ს. რ. კავშირი“, ანამედ „რუსეთის რესპუბლიკა“. სტალინმა ხომ იმიტომ გააუქმა „რ. ს. ფ. ს. რ.“ როგორც სახელი მათი მთლიანი იმპერიისა და გამოიგონა „ს. ს. რ. კავშირი“, რომ ხალხმა რუსეთის ჰეგემონიას არ იფიქროს და ვითომდა საბჭოთა კავშირი თანასწორუფლებიან სახელმწიფოთაგან შესდგებოდა. ეს თეორია კი მათი ჩვეულებრივი ტყულისა და პრაქტიკის — ეს კოლოფები მიმტკიცებს, რომლებიც ხელთ მაქვს. გამოდის, რომ რუსეთს (და არა საბჭოთა კავშირს) ქართული ჩაი რუსეთში მიაქვს, ამას რუსეთი, ე. ი. „კავშირის“ წევრთავანი და არა ს. ს. რ. კავშირი, საზღვარგარედ მიმე ვალუტაზე ყიდის და საქართველოს „მთავრობას“ საბჭოთა ფულს აძლევს, რომელსაც საზღვარგარედ იფიქრე ფასი აქვს რაც ტულეტის ქალაქს და აი როცა საქართველო რუსულ სამოვრებს საქართველოში ჩამოიტანს, — მათ საექსპორტო ყუთებზე წაწერს: „ექსპორტი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის“ — ნამდვილი რუსული სამოვრები“, ამ სამოვრებს საზღვარგარედ მიმე ვალუტაზე თეთონ ვაპყიდის და რუსეთს იმ ფულს ვადასცემს, რომელსაც ტულეტის ქალაქს ფასი აქვს, — აი მაშინ შეიძლება და რომ მეფიქრავ: „ცუტა რამ კავშირი ყოფილა და არა უსარცხვილო ნეოკოლონიალიზმი. სანამ კი...“

რ. ჯაში.

ფოთოლო

— თქვენ იცნობთ ვინ არის „ფოთოლო“? არ იცნობთ? როგორ არ გრცხვინათ! ეს გახლავთ დეკონიკა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომ-



კავშირის კომიტეტის მდივანი, ჩაის მკრეფი, დაუსწრებლად მოსწავლე, სიმინდის ცეხვაში მონაწილე, ყურძნის მკრეფი, სოიას ამღები, ჩალის სასილოსის დამზადებელი... ერთი სიტყვით ყველაფრის მკეთებელი... ფოთოლას გეგმის ძალით უნდა მოეკრიფა სამი ათას ხუთასი კილოგრამი ჩაი... და მოკრიფა კი—ხუთთათასი კილოგრამი ჩაი! და აი დააჯილდოეს დეპუტატობით, მაღლე ლენინის ორდენსაც მიიღეს. ეს არის ადამიანის ექსპლუატაციის უძლიერესი საშუალება — წაქეზებით, ორდენებით მეტი მუშაობის შესრულება, ნორმის გადაჭარბება, ადამიანის ენერჯის ამოწურვა, — ჯანმრთელობის დღითიდღე გაუარესება... ასეთი წესის მუშაობა საბავებელ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ არსებობს, სამწუხაროდ, თორემ, ამგვარ ქვეყანას კომუნისტურად მონათლავდენ...

ძველად სიტყვას „დამკერვლს“ ეძახდნენ მოჩხუბარ კაცს, — ბოლშევიკურ ხანაში კი „დამკრელი“ არის მშრომელი, რომელიც ყველას სჯიანის შრომაში. ამ საწყალ მუშას აძლევენ ჯილდოს, სიგელს, წითელ ღრუშის ორდენს, ირჩევენ დეპუტატად, იმიტომ რომ მან ჩაის თავი შეაკლა და მოკრიფა „შარშან 13 ტონა ჩაის ხარისხიანი ფითილი“! აი, ასეთი ყოფილა ეს საცოდავი ქართველი ქალი, რომელიც მამლის ყიფის ასწრებდა მართლ მართა შეუღდებოდა აღმართს კალათით ხელში.. (და მის ოჯახს კი ამ სტრიქონების დამწერი უეცლიდა, ალბათ!)

გაზაფხული გმირთა სოფელში

— სასწაულები ზღბდა გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე. სამაგალითოდ დავასახელოთ ერთი წერილი: „გაზაფხული გმირთა სოფელში“. (მაისი 1973 წ.)—აქ დავსახელებული არის ვინმე ხარებაშვილი, რომლმაც „გაეგმეთ გათვალისწინებული რვა ტონის ნაცვლად 15 ტონი რეპანი მოიყენა“ — მოდიტ და ბრძანეთ: სასწაული არ არსებობს!

ვარდანი

ილიჩი მეორე!

— 1 მარტს 1973 წელს კრემლის კ. პ. ც. საბჭოს ზალაში, სადღესასწაულო ატმოსფეროში, რომელსაც ესწრებოდნენ პოლიტიბიუროს ყველა წევრები, ფეხზე კოვჩოში, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევიმა ხელი მოაწერა კომუნისტური პარტიის ბილეთს №1-ს გამოწერილს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელზედ. მოსკოვის და მიელი საბჭოთა იმპერიის პრესამ, რადიომ და ტელეკედ-ემა ფართო პროპაგანდა გასწია ამ უჩვეულყო ამბის გასავრცელებლად. ისინი ხაზს უსვამდნენ, თითქოს, ეს ტრადიცია ყოფილიყო ბოლშევიკური პარტიის ცხოვრებაში.

სინამდვილეში, ლენინს არასოდეს სიცოცხლეში პირველი ნომერი პარტიული არა ჰქონია.

1917 წელს, რევოლუციის მსვლელობისას როდესაც პარტიულიებმა შემოიღეს ვებორაში, ლენინს გადასცეს ბილეთი №600 1922 წელს, როცა ბილეთებს მხოლოდ (კერძოალირი კომიტეტი არიგებდა, ლენინს ხვდა პარტიულითი №11442.

ამავე დროს პარტიულითი №1 მიიღო პეტროგრადის რაიკომიდან გ. ფ. დედლორემა, რომელიც შემდეგ, 1939 წელში დაზვრეტილ იქმნა, როგორც ხალხის მტერი.

საბჭოთა პროპაგანდამ ასევე იღი მბით ილღისასწაულა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის მეორე ნომერი პარტიულითის გადაცემის რიტული.

ილიჩი პირველი — ილიჩი მეორე. ხომ არ ვიმყოფებით კომუნისტური იმპერიის შექმნის წინა ხანაში?!

კომუნისმის მშენებელ ქვეყანაში.

— 17 ივლისის გაზეთ „კომუნისტს“-დან გვეტულობთ: კრემლში ოფიციალურად მიულიათ ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია. ამ დარბაზობას შედგად მოყვა საერთო კომუნისკე, რომელშიდაც სხვათაშორის ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირმა დაამთავრა სოციალისმის მშენებლობა და ახლა კომუნისმს უყრის საფუძვლებს წარმატებით“-ო.

ასეთი სერიოზული დარბაზობის დროს ხუმრობას ხომ არ იკადრებდნენ?..

ამავე ნომერ „კომუნისტს“ ვკითხულობთ: სოფელ გევუს არ გაიჩნია არც სასადილო, არც აბანო, არც კინო დარბაზი, არც გზა და არც ტელეფონი.

— დაბა მესტიაში (ზემო სვანეთის დედაქალაქი) 1970 წელში ჩამონგრეულა ერთად-ერთი კულტურის სახლი, რომლის რესტავრაციისათვის საჭირო თანხები დღესაც არ არის გამოხაზული. ამ სახლის დირექტორის განცხადებით, მთელ რაიონში ეხლა არც კლუბი და არც კინო დარბაზი არ არსებულა.

— 8 თებერვლის „კომუნისტში“ ვკითხულობთ; ამბროლაურის რაიონის მაღაზიებში მარილი არ იწოვება

— 2 აგვისტოს „კომუნისტს“-დან ვკითხულობთ: აჭარაში ორ ოთახში ბინაში სტოვრობს სამი ოჯახი, რომელიც შეადგენს რაღაც 17 სულს. გაზეთის, ალბათ, უყვირს რომ ამ ოჯახებს შორის ხშირად უსიამოვნებას აქვს ადგილი და თავისი კორესპოდენტი გაუგზავნია მომუღართა შორის ზავის ჩამოსაგდებად.

ასეთი მაგალითები რამდენიც ვნებავთ შეგიძლიათ ამოიკითხოთ საბჭოთა ქვეყნის ოფიციალურ პრესიდან.

მარქსი საფლავში ვადობრუნდება ასეთი კომუნისმის არსებობა, რომ ვინმე ჩასძახოს.

სოფლისა და სავაჭრო საქმეების

ალ. სოლენიკინი.

ალ. სოლენიკინი ახლო წარსულსა და დღევანდელსა თვისათვის შესანიშნავი ფიქრობებისა თუ ყოველმხრივად არა, ძალიან ხშირად ეხედება მის სახელს მსოფლიოს თავისუფალ პრესის ფურცლებზე.

14 წელი მან გაატარა სტალინის საკონსტრუქციო პოლიტიკურ ბანაკებში. ისარგებლა რა ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ მკვდარი დიქტატორის განვეირგვინებით, ალ. სოლენიკინი აქვეყნებს მოთხრობას: „პირველი წრე“ ანუ „ერთი დღე ივან ლენინისა“, რომელშიდაც მეტად მდიდრული ენით და შესანიშნავი რეალობით აღწერილია პოლიტიკურ კატორღელთა ცხოვრება. ასევე მის მეორე ნაწარმოებში: „კიბორი დაავადებულთა პავილიონი“ აღწერილია სტალინის და მისი სიკვდილის მომდევნო ხანის საბჭოთა საზოგადოება, რომლის სოციალური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ანალოზი შესანიშნავია.

საბჭოთა ხელისუფლებამ იგრძნო თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა მისთვის სოლენიკინის მოთხრობები, აკრძალა მათი გამოცემა და ავტორის დაუწყო დევნა-შევიწროება. სოლენიკინი არ შეუშინდა არავითარ მუქარას და მოახერხა საზღვარაგარეთ გამოეცა საბჭოთა კავშირში აკრძალული მისი ნაწარმოებები. 1970 წელს სოლენიკინს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურაში. ამ პრემიის მისაღებად მან ვერ მოახერხა სტოკჰოლმში ჩასვლა და, როგორც ეს წესია, სახეიმა ვითარებაში, მსოფლიო ნობელის ლაურეტების თანდასწრებით საჩადლობელი სიტყვის წარმოთქმა. ალ. სოლენიკინმა, ზინც დასწერა და გამოაქვეყნა ეს სიტყვა, რომელც თავისებური შედეგითა ხელოვნების რაობისა და მისი მნიშვნელობის შეფასებაში, ნობელის პრემიის ლაურეტი დარწმუნებულთა ხელოვნების უკვადებაში და რომ: „ხელოვნება იხსნის კაცობრიობას, ის საბოლოოდ დასაბრუნებს სიტყუესა და ძალმომრეობას“-ო.

ა. სოლენიკინი არა მარტო დიდი შემომქმედი, არამედ დიდი მოქალაქეცაა. ის არაჩვეულებრივი შემართებით იბრძვის პრაქტიკულად, ყოველდღიურად, თავისუფლებისა და სამართლიანობის გასამარჯვებლად. ის უფრო ამბობს დასტოვოს საბჭოთა კავშირი; უტყუბოში დიდებას, სიმდიდრეს და მშვიდ ცხოვრებას ის არჩევს ადვილზე. თავისი თანამემამულეებთან ერთად გაიხიაროს ღუსჭირი და ათასი ფათერაკით აღსავსე ცხოვრება.

ამ დიდი რუსი ადამიანის შემომქმედებას და ცხოვრებას ჩვენ, მომავალში არა ერთხელ და უფრო დაწერილობით და ვებურუნდებით, ამჯერად კი ვთავაზობთ მისი ერთი წერილის ტექსტს.

ბ. წ.

მიმართვა შინაგან საქმეთა მინისტრს შეულოვს.

შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. ა. შეულოვს შეულოვს თვის წინა დივეტი განცხადება მოეცათ ნება ჩაწერილობივი საცხოვრებლად ჩემს ოჯახში, მოსკოვში. ამდენი ხნის მოფიქრების შემდეგ, ამ უდაო საკითხზე, მხოლოდ ესლა გამომიცხადეს უარი—მილიციისა და ოქვენი სახელით.

გვეკრებებს გამოთქვამდი, რა ადამიანური ან იურდიული მოტივით შეიძლება იხელმძღვანელო, რომ დაუშალო: ქმარმა იცხოვროს ცოლთან, მამამ შევილებთან, რომ არ ციკოდე ხანგრძლივი გამოცილებებით, რომ არც ერთი და არც მეორე ჩვენს სახელმწიფოში არ არსებობს. 42 წლის განმავლობაში მილიონობით ჩემი თანამემამულე იბნაჯება ამის გამო. თვით ჩემი ქვეყნის სახვრებში შეუძლებელია თავისუფლად არჩევა საცხოვრებელი ადგილისა და საშუაისი. ეს უსამართლობა კიდევ უფრო გაძლიერდა 1973 წლის 19 ივნისის კანონით, რომლის მიხედვითაც, თვით დროებითი გამგზავრებაც კი, სეზონური მუშაობისათვის ეკრძალებათ გლეხებს, კოლმეურნეობების ნებართვის გარეშე.

ესარგებლობ შეიმთხვევით ვავახსენით: ბატონყმობა გაუქმდა ჩვენს ქვეყანაში 112 წლის წინად და ამბობენ: „ოქტომბრის რევოლუციამ ალგავა მისი უქანსკნელი ნარჩენები“-ო. მე პირადად, როგორც ერთერთი მოქალაქე ამ ქვეყნის, რომელიც არ ვარ არც ყმა, არც მონა, უნდა შეიხედეს უფლება ვიცხოვრო ოქ სადაც საჭიროდ მიმჩნია და არავითარ უმადლეს ხელმძღვანელობას არა აქვს ვეკსაუთრის უფლება ჩემს ოჯახზე.

ალ. სოლენიკინი.

ანდრეი სახაროვი.

მეორე შესანიშნავი რუსი, რომელიც საბჭოთა ლეგლობის ფარგლებში იბრძვის რეჟიმის გაუმანურებისათვის გახლავთ აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი, რომელმაც თავდაპირველად სახელი გაითქვა თერმონუკლეარულ ფიზიკაში თვალსაჩინო გამოკვლევებით, კერძოდ ის მიჩნეულია საბჭოთა კავშირის ატომიური ბომბის შემქმნელი მამა-მთავრად. აკადემიკოსის სავარძელი და გამოჩენილი მეცნიერის გვირგვინი მას აყენებდა საბჭ. საზოგადოების იერარქიაში უმადლეს საფეხურზე, რომლისათვისაც ეკონომიური და მატერიალური ზრუნვა გამოიცილებულია, იმ პირობით, რომ ის უნდა დარჩენილიყო რეჟიმის სიტყვის შემსრულებელი—მსახური. ანდრეი სახაროვმა მოვარაყებულ და უზრუნველ ცხოვრებას აქტიური პასუხისმგებლობა აჩრია.

ჯერ კიდევ სამიკიან წლებში, ხრუშჩოვის ბატონობის დროს, ხმა აღიმალა იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც კაცობრიობას ატომიური იარაღი უმზადებდა



საერთოდ, და კერძოდ, მისი პარტი წარმოებული ექსპერიმენტების გავრცელება. აკადემიკოსი ამითაც არ კმაყოფილდება და იწყებს ფართო საქმიანობას რათა დაცვას და შეუმსუბუქოს მდგომარეობა ყველა იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც უპაირონით, ადმინისტრაციულ წესით არის დასჯილი. ამ მიზნით ის, ჩვენ თანამემამულე ჩალოძეთან ერთად აარსებს საბჭოთა კავშირის ადამიანთა უფლებების დამცველ კომიტეტს, რომელიც მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მიერ აკრძალვისა განაგრძობს თავის საქმიანობას და მსოფლიო აზრის სამსჯავროზე გამოაქვს საბჭოთა რეჟიმის მიერ ადამიანთა უფლებების დეკლარაციის პრინციპების დარღვევა, რომელსაც ამავე საბჭოთა კავშირმა მსოფლიოს სხვა საჩემო-წიფოებთან ერთად ხელი მოაწერა სან-ფრანცისკოში.

გააგებდა სახელმწიფო უშიშროების აგენტები სასტიკად სდევნიან მას და ათასგვარ დაბრკოლებებს უქმნიან, ემუქრებიან სიკვდილით, როგორც პირადად მას ისე მის ოჯახის წევრებს. უკანასკნელად პალესტინელი ტერორისტებიც კი მიუსიეს სახლში, მაგრამ მამაცი აკადემიკოსი არაფერს არ უშინდება და განაგრძობს თავის საქმიანობას.

აქვე ვიქვეყნებთ მის უკანასკნელ პრეს-კონფერენციის ტექსტს.

ა. სახაროვის პრესკონფერენცია.

ამა წლის 8 სექტემბერს აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა თავის ბინაზე მიიწვია დასავლეთის პრესის კორესპონდენტები. ესაუბრა მათ და ზოგიერთ მათ კითხვებზე პასუხი გასცა.

სხეთაშორის მან ვანაცხადა: „საბჭოთა პროპაგანდა ყოველმხრივ ცდილობს ჩემი წინანდელი განცხადების აზრი დამახინჯოს. ის ცდილობს წარმომადგინოს თითქოს მე ვიყო მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგი.

ჯერ კიდევ 1961 წელში, ხრუშჩოვის მიემართე, რათა მიმექცია მისი ყურადღება თუ რა საშეშო იყო ატომიურ ბომბების აფეთქების ცდების გავრცელება პარტი და ამ ჯობირობის წარმოება საბჭოთა კავშირის და ამერიკის შორის. ხოლო 1968 წლიდან ამჟამად გამოვიდი ამ ცდების წინააღმდეგ. როდესაც ასე ვიქცეოდი, მე ვვიქრობდი, რომ ეს იყო ჩემი უფლება და ასევე ჩემი მოვალეობაც. ასევე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გავაფრთხილო მსოფლიო იმ საშიშროებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს თანამედროვე დაძაბულობის შენელებას, თუ მასთან ერთად არ იქნება მიღწეული ურთიერთობისადმი ნდობა და დემოკრატიზაცია.

ესევე ჩემს უფლებად და მოვალეობად ვთვლიდი, როცა ვიცავდი ჩემს მეგობრებს მოთავსებულთ საკონცენტრაციო ბანაკებში, თუ სპეციალურ ფსიხიატრულ სააღადმყოფოებში.

მე სრულიად არ მიმაჩნია ჩემი განცხადება რეჟიმის დაგმობად, არამედ მნიშვნელოვანად მიმაჩნია, რთუად მიანის უფლებებს ჩვენს ქვეყანაში იცავდნენ, აქვენი უფლებები ვიღერე იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ჩვენ, ამჟამად, ახლო მეგობრულ ურთიერთობას ვაყვარებთ.

ისტორიას არ ასხივებს სხვა, სტალინის ეპოქის მსგავსი. არაფერი შეიძლება შეედაროს იმ დროის გიგანტურ მასიურ ტერორს. მის შემდეგ, ისეთი მასიური ტერორი აღარ ყოფილა და მჯონია ეს შეუძლებელიც არის, მაგრამ რაც დღეს ხდება და საერთოდ, რაც მისი სიკვდილის შემდეგ ხდება, ძალიან შორს არის დემოკრატიული ნორმებისაგან... ყოველშემთხვევაში უნდა ვადიაროთ, რომ ადამიანის უფლებებით საგრძობად ჯერ კიდევ ჩვენთვის იცინებას წარმოადგენს და არავითარ შემთხვევაში რეალობას.

ოპოზიციონერები (დისიდენტები) იმაზე გაცილებით მრავალიცხოვანია ვიდრე ამას ხელისუფლება აღიარებს. ამ უამად რეპრესია ეხება იმ ადამიანების ჯგუფს, რომლებმაც გაბედეს თავისუფლად იფიქრონ და ილაპარაკონ. ამ წრეში რეპრესია მიმდინარეობს მკაცრად. ამის გარდა მრავალი ითხოვენ სამსახურიდან, უსპობენ არსებობის საშუალებას. სამუშაოს ხომ მხოლოდ ხელისუფლება იძლევა?!

ვალერი ჩალოძე.

გასულ 1972 წლის ბოლოს, გამოჩენილი ფიზიკოსი და ანდრეი სახაროვთან ერთად საბჭოთა კავშირის ადამიანთა უფლებების დეკლარაციის დამცველი ლევის დამარტბელი, ჩენი თანამემამულე ვალერი ჩალოძე მოყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ქვეყნის ერთ-ერთი უნივერსიტეტის მიწვევით.

ხუთშაბათს 14 დეკემბერს, მასთან ოტელში გასოცხალდა საბჭოთა საელჩოს ორი თანამშრომელი. ჩამოართვეს პასპორტი და გამოუცხადეს: „საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ თქვენ აგყარათ საბჭოთა მოქალაქის უფლებები“-ო.

ჩემი ცნობით, ბნი ჩალოძე უქმად არ ატარებს თავის დღეებს დევნილობაში. ის აქედან დაულალავად იბრძვის, რომ საბჭოები იცადენ ონიუს ადამიანის უფლებების დეკლარაციას, რომელსაც სხებთან ერთად საბჭოთა კავშირმაც მოაწერა ხელი სან-ფრანცისკოში. მისი თათარ რედაქტორობით ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, ყოველ ორ თვეში, რუსულ ენაზე: „უფლებათა დაცვის ქრონიკა საბჭოთა კავშირში“.

მიხტორ ნოზიკის ვეშსაშულა 80 წელი

სახელოვან რუსთაველოლოგს, ჟურნალისტს, კრებულ „კავკასიონის“ რედაქტორ-გამომცემელს, თვალსაჩინო მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს ბნ ვექტორ

ნოზაძეს შეუსრულდა 80 წელი. მთელი მისი სიცოცხლის შეგნებული პერიოდი მიძღვნილია ქართველი ერის უკუდასავსაჲად. ის დღესაც ჰაბტუკური ენერგიით იკვლევს, სწერს, აწყობს და ბეჭდავს.

„განთავისუფლების ტრიბუნა“ უსურვებს ძვირფას იტილაოს ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ.



შუაში ვ. ნოზაძე, მარცხნივ მოსე იმნაიშვილი მარჯვნივ; ლ. ზურაბიშვილი.

ბ-ნ კ. სალიას „საქართველოს ისტორია“

უპირველესად ჩვენი მკითხველის ყურადღება უნდა მივაქციოთ ქართ. ემიგრაციაში მომხდარ ერთ მიტანდ სამუშაო ფაქტზე: ბ-მა კალისტრატე სალიამ თავის ქართველოლოგიის კრებულში, №№29 და 30-ში, რომელიც 1972 წელში გამოიცა, დაბეჭდა საქართველოს „ისტორია“ ფრანგულად. ამ ისტორიის მოკლე კურსში ყველაფერი რიგზეა საქართველოს გასაბჭოებამდე, და რომ ისტორიკოსს წერტილი აქ დაესვა ვერაფერს ვერ უსაყვედურებდა. სამუშაოდ ავტორმა ასე არ იწეა. მან საქართველოს გასაბჭოება ერთი პატარა ფრაზით აღნიშნა, რომლის ქართული თარგმანი სიტყვა-სიტყვით ასეთია: „25 თებერვალს 1921 წელს საქართველო გასაბჭოვდა და დღეს ის წარმოადგენს ერთ იმ თუთხმეტ რესპუბლიკათაგანს, რომლებიც ქმნიან საბჭოთა კავშირს. საბჭოთა საქართველოს ისტორია ცალკე შესწავლის საგანია, მაგრამ საქირთა აღნიშვნის“-ო და აქ მოჰყავს საბჭოთა საპროპაგანდო სტატისტიკიდან ამოღებული ციფრები სწავლა-განათლების, მეცნიერების და ზელოვნების გაფურჩქენისა და აყვებისა.

ულაყა: მისი კრებულის ფრანგი მკითხველებისათვის ბ-ნმა კ. სალიამ მიაფურჩხა უცხო სახელწიფიფოს—საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოსევის შედეგად, ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული ტრაღედია, 1921 წლის თებერ-

ვალ-მარტში, რომლის დროსაც სუვერენულმა სახელწიფომ—საქართველომ ანექსია განიცადა და უზენაეს გარემოში ხალხს გამო დაჰკარგა დამოუკიდებლობა.

ამს ხომ უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა, როგორც ფიზიკური ისე მატერიალური. მთელი ერის თავისუფლება დაითრგუნა, აზროვნება და შემოქმედება დაკნინდა.

განა ამის შედეგად არ ვიმყოფებით უტხოვთში? განა თით ბ-ნი კ. სალია ამ 50 წლის განმავლობაში ამიტომ არ არის გადმოსახლებული?

ბ-ნ კ. სალიას „ისტორიის“ მკითხველს რომელიც სავალდებულო არ არის საქართ. ისტორიის სპეციალისტი იყოს, დარჩება შობაბეჭდილება, თითქოს, საქართველო ქართულ ხალხს გაესაბჭოების და რომ ეს გასაბჭოება იყოს პროგრესული მოვლენა ქართველი ერის ცხოვრებაში.

ქართველი პოლიტიკური დევნილის ასეთი დამონება ჩვენი ერის დამპყრობელთა მიმართ ყოვლად დაუშვებელია ჩვეთვის. ამიტომ საჭიროა, რომ ის აუცილებელი ქართველ საზოგადოებისაგან. ეს მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ ბ-ნმა კ. სალიამ არაფრის დიდებით (ჩვენ მას მივგზარეთ კერძო წერილებით, ვესაუბრეთ პირადად, ვსთხოვეთ ასხნა-განმარტებას) არ იწეა მითითებული ადგილის გასწორება. პირიქით ის იერიშზე აქეთ გადმოვიდა და მოითხოვა ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარის ბ-ნ ზურაბიშვილის „აღაგმვა“. თუ ასაღაგმავი ვინმე იქნება, მაშინ ისტორიის გამყალბებელი უნდა აღიგამოს და არა მისი მხილებელი. ჩვენ ალაგმვის მომხრე საზოგადოთ არა ვართ, ზოლო აღწფოთება კი საჭიროა ვთქვით და დავსწეროთ, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ასეთი ამბები.

პოლიტიკური ორგანოების უპირველესი მოვალეობა იყო ამ საქმეზე თავიანთი შეხედულებების ვახიარება მკითხველებისათვის. გაოცებული დავჩიოთ, როცა „მძილის ხმა“-ს უქანასნულ ნომერში (დეკემბრის 1973წ.) ამის მსგავსი ვერაფერი ვიხილოთ.

„ი ტ.“

თავისუფლების ტრიბუნას თხოვნა:

1 ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის განცხადება

ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის პარიზის კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, მის მიერ 1973 წლის 20 ოქტომბერს გამოტანილი დღეგნებების საყოველთაოდ ცნობისათვის გამოქვეყნება.

კომიტეტმა მსჯელობა იქონია ბ-ნ კ. სალიას ვარშეში მომხდარ ამბების საკითხზე და შემდეგ დასკვნამდე მივიდა:



„ბედი ქართლისა“-ში გამოქვეყნებული ბ-ნ სალიას ნარკვევი სრულიად აყალბებს ჩვენი ისტორიის ერთ ფრიალ მნიშვნელოვან პერიოდს. ეს გაყალბება მაყენა ჩვენი საქმის პროპაგანდისტების და სასარგებლოა ჩვენი მტრისათვის.

ბ-ნ ზურაბიშვილი არა თუ მართალი იყო როდესაც მან ეს საბავი ამხილა, არამედ, ეს მის მოვალეობასაც შეადგენდა.

ბ-ნ სალიამ დაგზავნილ კერძო წერილებში თავის მართლებას სცადა, მაგრამ მისი საბუთები ყოვლად უსაჯუშვლოა. თუ „ბედი ქართლისა“ ის ჟურნალია როგორიათც ის ოფიციალურად ითვლება, მის რედაქტორს არადიერი ავადლებულებს, ვიღაცის მორიდებით, ქართული კულტურის მაგივრად რუსულ პოლიტიკას ემსახუროს. ყოველშემთხვევაში მას ასეთ საქცილს ვერ მოსთხოვენ მისი უცხოელი თანამშრომლები.

თავხედობა და ბეცობა ბ-ნ სალიას „მანერები“ ბ-ნ ზურაბიშვილის გადასაყენებლად. ბ-ნ ზურაბიშვილი მრავალჯერ დაამტკიცა და კვლავ ამტკიცებს თუ ვის და როგორ ემსახურება. ბ-ნ სალიამ კი, ჯერ თავისი საქციელის ახსნა უნდა მისცეს საზოგადოებას.

კომიტეტი მთელი ორგანიზაციის სახელით აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ბ-ნ ლევან ზურაბიშვილს, ნიღბს უცხადებს მს და იმედს გამოსთქვამს რომ ამგვარი ინციდენტები მის ბრძოლის უნარს შენელების იცეულად უფრო გააძლიერებენ.

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტი.

2. ქართულ ეროვ.-პოლიტიკურ ცენტრის რეზოლუცია.

ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ცენტრში შემაჯალ ორგანიზაციების და მის უპარტიო თანამგზონობთა საზოგადო ყრილობამ, რომელიც უმცხად 1973 წლის დეკემბრის 22-ს პარიზში, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნ ვ. შუბლაძე, სხვა საკითხთა გარეგნის შემდგე, ბ-ნ სალიას მოქმედების შესახებ, ერთხმად, შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

ყრილობა კატეგორიულად ჰკობს ბ-ნ კ. სალიას მიერ 1972 წლის „ბედი ქართლისა“-ში მოცემულ საქართველოს გასაბჭოების ვერსიას და საცხებით იზიარებს 1973 წლის მისის „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ ამ ვერსიის კრიტიკას.

ყრილობა აღნიშნავს რომ ბ-ნ სალიამ არა თუ დღემდე არ მოისურვა თავისი ეროვნულად მაყენ საქცილის მონანიება-გამოსწორება, არამედ პირიქით თავის მუუღლისთან ერთად ცილისწამებასა და ქორებს მიმართავს ბ-ნ ლევან ზურაბიშვილის პიროვნების შესაბაღალად. და ცდილობს სათვისტომოში შფოთის შემოტანით თავისი დანაშაული დაეწიებას მისცეს.

ყრილობა მიუღებლად და უღირსად თვლის ინციდენტულ პროფესორ ბ-ნ დ. ლანგის წერილს ბ-ნ ზურაბიშვილზე 1973 წლის 27 სექტემბრის თარიღით და პრეტენზიას ხადებს, წერილში, ბ-ნ ზურაბიშვილის მიმართ ნახმარ უკიდურესად შეურაცხყოფელ გამოთქმისა გამო; აგრეთვე მიუღებლად თვლის ბ-ნ სალიას ცდას, უცხოელი გახადოს ჩვენი ეროვნული საკითხის მსაჯულად.

ყრილობა ნიღბასთან ერთად მადლობას უცხადებს ბ-ნ ლ. ზურაბიშვილს, ქართული დემოკრატიის პოზიციის ნამდვილსახეობის ურყევად დაცვისათვის, შიგნით და გარედ და ხაზს უსვამს, რომ ბ-ნ ლევან ზურაბიშვილის მოქმედება ამ საკითხში სრულიად შესაბამისია ჩვენი სათვისტომოს წესდების.



ჩვენი სათვისტომოს ცხოვრება


ნესტორ კალანდაძის მოსაგონარი

კვირას, 22 ივლისს, 1973 წელს ლევილის ქართველთა მამულში, ქალბატონ ნამეტია გოგუაძეს ინიციატივით გამიართა სადილი, მიძღვნილი ნესტორ კალანდაძის (ემ-მაკი) გარდაცვლებიდან 30 წლისთავისადმი. მავიდას ხელმძღვანელობდა ბ-ნი ნოე ცინცაძე. მან ვრცლად დაახასიათა განსვენებულის ცხოვრება და მოღვაწეობა. მეტად გმძნობიერად ილაპარაკა ფრანგულად ბ-ნმა ვიქტორ ხომერეკმა; მისი ბავშვობის შთაბეჭდილებები ნესტორ კალანდაძესთან დაკავშირებით. პოეტმა გიორგი ყიფიანმა წაიკითხა საკუთარი ლექსი, ზლოდ გერასიმე ბოლქვაძემ ზოგიერთი ადგილები ნ. კალანდაძის ნაწერებიდან. ვალიკო ჩუბინიძემ დამსწრეთ მოუთხრო ზოგიერთი ეპიზოდები ნ. კალანდაძის ცხოვრებიდან.

აზვისტოს აჯანყების წლისთავი

16 სექტემბერს 1973 წელს, პარიზის ქართველთა სათვისტომომ გადაიხადა ავევისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილი ტრადიციული წლისთავი.

ამ დღისთვის ლევილის ქართველთა მამულში თავი მოიყარა 200-მდე კაცმა. დეკანოზმა ილია მელაძე გადაიხადა პარაკლისი ამ აჯანყების დროს და მის შემდეგ ამის მიზეზით დღეუბელთა სულის უკავდასაყოფდლოცვა და ლიტანიობა შესრულდა ლევილის ძმათა სასაფლაოზედ, რის შემდეგაც გამიართა სადილი დამოუკიდებელ საქართველოს განათლების მინისტრის აშხანავის ნოე კონსტანტინეს ძე ცინცაძის თავმჯდომარეობით. ბ-ნი ცინცაძის შემდეგ ილაპარაკეს: ბატონებმა ლევან ზურაბიშვილი (სათვისტომოს თავმჯდომარე), ნიკოლოზ ურუშაძემ, რომლის სიტყვას აქვე ვთავაზებთ და პროკანია ინიყრებელმა. სადილი გვიან საღამომდე



გავრძედა, რომლის დროსაც დამსწრენი სრულ სულიერ კავშირში იყვნენ დედა-სამშობლოსთან
საიღის შემოსავალი ჩაირიცხება ლევლის ძძათა სასაფლაოზე საერთო საძვალეს ასაგებ ფონდში.

ნიკოლოზ ურუშაძის სიტყვა

ძვირფასო თამარემამულენო!

1925 წლიდან ქართული ეროვნული ემიგრაცია ყოველწლიურად ღრმა პარტიისციმით იფონებს და აღნიშნავს 1924 წლის აგვისტოში სამშობლოსათვის თავგანწირულთა დაუფიქვარ ხსოვნას. რაც უშუალოდ დადებითი და კარგია. მომქმედ ქართულ ემიგრაციას, მანამ მას ხელი არ აუღია თავის დანიშნულებაზე, უფლება არ აქვს დაეკმაყოფილდეს სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსოვნაშიც პარტიისციმის მხოლოდ ამგვარ ფორმის გამოხატვით.

1924 წლის აგვისტოში, ერის განთავისუფლებისათვის ათასობით დახოცილ საუკეთესო ქართველთა ხსოვნის პარტიისციმა იქნებოდა ის, რომ ჩვენ, ვადარჩენილმა თანამებრძოლებმა განვავრძობთ ბრძოლა ჩვენს სოციალიზმად, ჩვენს სამშობლოდან რუსულ საოკუპაციო ძალების გაძევებამდე. ჩვენი ემიგრაცია, ერთ დროს პოლიტიკურად და ორგანიზაციულად მძლავრი და სხეებისათვის სამავალითა, ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ბუნებრივი კანონის შედეგად, ფიზიკურად და ინტელექტუალურად ძალზე დასუსტდა, მაგრამ ის სხეებით არ გამჭრალა და კიდევ აქვს სამშობლოს წინაშე თავის მოვლენების შეგნება. დიდ მოსალოდნელ, გადამწყვეტ ამბებში მას, თავისუფალ დასავლეთში ყოფნის შედეგად კიდევ შეუძლია სამსახური გაუწიოს თავისუფლებისათვის მებრძოლ შობილურ ერს, რომელიც, ცხადია თვით ადგილზე, საბოლოოდ სჭედს თავის საკუთარ ბედს.

დღევანდელი დღის შეკრებულობის ჩანაფიქრი და ღრმა სურვილი უნდა იყოს ის, რომ ამ ჩვენს ხანაში, რომელიც თავისი გრანდიოზული პერსპექტივებით წარმოუდგენელად მიაგავს მეორე მსოფლიო ომის წინა წლებს, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციამ უნდა შესძლოს, როგორც ეს შეფერის პოლიტიკურად დარახმულ სრულმწიფე კოლექტივს, ყველა ძალების იდეურ-პოლიტიკურად გაერთიანება, რათა მზად დახმადე მოსალოდნელ პლანეტარულ მოვლენებს, რომლებიც, ჩემის რწმენით, საუკუნოებოდ გადასწყვეტენ იმპერიების და კონტინენტების ბედს. თუ დღევანდელი შეკრებულება ხელს შეუწყობს ამ აზრის განხორციელებას, ჩემის რწმენით, ეს იქნება აგვისტოს აჯანყებაში დახოცილთა სპეტაკ ხსოვნის, ჩვენის მხრივ, დღეს, ყველაზე შესაფერი პარტიისციმა.

საუკუნო იყოს მათი ხსოვნა!

გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს.

პარიზში, წმ. ნინოს სახელობის ახალი ქართული

ეკლესიის კურობევა

სეკტეციზოვის დიად დღესასწაულთან დაკავშირებით შერჩეულ დღეს; კვირას 30 სექტემბერს 1973 წ. საფრანგეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა, და მსოფლიო პატრიარქის ეგზარქოსმა, ყოველად უსამედლოვსმა მელდელსმა, ჩვენ მოძღვარ დეკანოზ ილია მელიასთან ერთად, შეასრულა ჩვენი ახალ დარბაზში მოთავსებული ეკლესიის კურობევის წესი.

კურობევის დაესწრო უამრავი ხალხი. მათშორის: სხვა და სხვა სარწმუნოებათა სამღვდელთა წარმომადგენლები. წირვა-გალობა ფირზე ჩაწერილ იქნა და ეკერში გადაცემული საფრანგეთის ტელევიზიის მიერ (4 ნოემბერს) და აგრეთვე „ამერიკის ხმის“ და რადიო „თავილების“ ტალღებზე.

ყოველ ქართველსათვის საამაყო მოვლენაა, რომ ლტოლვილებაში ყოფნის 52 წლის დასასრულს ქართულ ემიგრაციამ შესძლო თავისი საშუალებით ამ უღირესად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმის ბოლომდე მიყვანა.

დარბაზის მოპირკეთებას, დეკორატიულ გაფორმებას და საერთოდ არქიტექტორული მომსახურება უნდა ეუბნოდით ჩვენ თანამემამულეს არქიტექტორ ალექსი კობახიძეს. (ყველაფერი მან გააკეთა უსასყიდესო). იმთ საყურადღებოთ, ცისაც ჯერ არ უნახავთ ეს დარბაზი, აღენიშნავთ რომ, მისი მოწყობილება: მოძრავი ტიხრები და საჯანგებო კარადები, საშუალებას ჰქმნიან იქვე საკულტურო საქმიანობის წარმოებისას (ბიბლიოთეკა, ვაკვეთილები, მოხსენებები).

საქირთა გავსივდეს, რომ 1929 წელში დაარსებული ჩვენი მრევლი და ეკლესია, პირველად, მხოლოდ ახლა არიან მოთავსებულნი ისეთ მუდმივ ბინაზე, რომელიც ქართველობის საკუთრებას წარმოადგენს, ვინაიდან ის შექმნილია ჩვენი სათვისტომოს სახელზე და მეტიც: ეს არის, საქართველოს საზღვრების გარედ, ერთადერთი დღეს არსებული ქართული ეკლესია.

გვიკვირ ხანძთილის სიტყვების თანხმად:

„ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირაცხების,

რომელსაცა შინა ქართულითა ენითა,

ჟამი შეიწირვის და ლოცვაა ყოველი აღესრულების“
ამ ეკლესიაში უფლება გვაქვს ვივარძოთ თავი საქართველოს ტერიტორიაზე. კურობევის დროს ეს გარძნობა განსაკუთრებულად განიცადეს დამსწრეებმა... უცხოელებმა კი უთუოდ ყურადღება მიაქციეს აგრეთვე; კანკლის ქართულ მოყვანილობას, ქართულ ხატებს და მიტროპოლიტის სავარძელთან მდგომს აბრეშუმის ქართულ სამღვროვან დროშას.

ცნობისათვის დაუმტკებო, რომ ეკლესიის კურობევის შემდეგ, ახლა მდებარე ერთ ფრანგულ ეკლესიის დიდ



სადღესასწაულო დარბაზში, ჩვენმა მოძღვარმა და მის-
მა მეუღლემ შშენიერი სადილი გაუმართა საპატიო უც-
ხოელ სტუმრებს და დამსწრე მრევლის წევრებს. (ორ-
ასზე მეტ ადამიანს გაუმასპინძლდნენ).

მიტროპოლიტს და მის გარშემო მყოფთ მეტად მოე-
წონათ საღვთაქმეობები, ქართველ ახალგაზრდათა
სპონტანური ქართული ცეკვა-სიმღერა და საერთო
გულთბილი განწყობილება. მან მეტად გამწობაიურ სიტ-
ყით მადლობა გადაუხადა მამა ილიას და მთელ ქართველ
მრევლს.

(სამიტროპოლიტო ყოველთვიურ გაზეთში, ფრანგულ
ენაზე მოთავსებულია სიმბატიით სავსე წერილი, რომელ-
იც აღწერს კურთხევასაც და წვეულებასაც).

კალაურელი

ნოი შორდანიის გარდაცვალებიდან 20 წლისთავი.

ა. წ. 11 იანვარს 20 წელი შესრულდა დამოუკიდებ-
ელი საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარ-
დაცვალებიდან. გადახდომ იქნა დაგვიანებით, მაგრამ
მაინც, ამ ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი სამოქალაქო
პანაშვილი, პარიზში. ეს მოხდა კვირას 18 ნოემბერს.

განსვენებული პრეზიდენტის შესაბამე ილაპარაკეს ბა-
ტონებმა: ნოე ცინცაძემ, ლევან ზურაბიშვილმა, მიხეილ
ჭავჭავაძემ, პავლე სარჯველაძემ და განსვენებული პრე-
ზიდენტის შვილიშვილმა ქრისტინე ფელაგამ, ფრან-
გულ ენაზე. პითემა გიორგი ყიფიანმა წაითხა მისი
ცნობილი ლექსი: „პრეზიდენტის დასაფლავება“.

ირაკლი წერეთლის ფერფლის გადმოხვენება

გასული წლის ნოემბრის 17-ს, ამ. შვერ. შტატებიდან
ლევლის ძმათა სასაფლაოზე გადმოხვენებული იქმნა
ირაკლი გიორგის ძე წერეთლის ფერფლი.

მიმდინარეობს შემოწირულობათა შეგროვება განს-
ვენებულის საფლაოზე ძეგლის აღსამართავად.

კლოდ კ ე მ უ ლ ა რ ი ა ს არჩევა.

შობის წინა დღეებში, გავრთიანებულ ერთა, საცრან-
ბეთის საზოგადოების თანამჯდომარედ არჩეულ იქმნა
ბ-ნი კლოდ იოსების ძე კემულარია.

ბ-ნი კ. კემულარია იყო აწ განსვენებული პრეზი-
დენტის პოლ რენოს ახლო თანამშრომელი, 5 წლის
განმავლობაში ასრულებდა ონიუს გენერალური მდივ-
ნის მრჩეველის თანამდებობას, ხოლო ამჟამად არის
მრჩეველი პარიზისა და პოლანდის ბანკისა — საერთა-
შორისო ფინანსების დარგში. იგი ამავე დროს მრჩევე-
ლია ონიუს ტექნიკურ განვითარების კომისიისა.

ჩვენს თანამემამულეს და მეგობარს, ვუსურვებთ კი-
დედ მეტს წარმატებას მომავალში.

ამ უკანასკნელ ხანებში დაიბეჭდა:

ქართველი
წიგნების
საქონელი

1 კლასი მეგაძეს მოგონებების მეორე წიგნი


2. „ლტოლივითა საქალენი“ — უცხოეთში გარდაც-
ვალეულ ქართველ ლტოლვილთა დახადების და
გარდაცვალების წელი, და სდ არიან დასაფლავებულ-
ნი. — გამოცემულია, განსვენებულ ნიკო იმანიშვილის
ფონდის საშუალებით.

3. „პოეზიის და სიცოცხლის ვაზი“ — პოეტ გიორგი
ყიფიანის ლექსების ახალი რევილი.

4 ენევეში ფრანგულ ენაზე გამოვიდა ბ-ნ ხარიტონ
შაიშვილის წიგნი „ადამიანი და საზოგადოება“.

5 აღ. ყაზბეგის „ეღუტუჯა“ თურქულად თარგმნა ახ-
მელ მელაძემ.

6 ქართული ენის თვითმასწავლებელი თურქულად
მოლაპარაკეთათვის. ავტორი: შალვა თევზიშვილი (შან-
ვერ აკინ). გამოიცა სტოკჰოლმში.



† მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:
— 22 ივნისს 1937 წ. გარდაიცვალა ნიკო საბანაძე
დასაფლავებულია ლევლის ძმათა სასაფლაოზე.

— 18 ივლისს 1973 წ. პარიზში გარდაიცვალა ქეთო
ვაჩანაძე ჩხენკელისა. დასაფლავებულია ლევლის ძმათა
სასაფლაოზე.

— 16 ოქტომბერს ქ. რუანში გარდაიცვალა ექიმი
ანტონ ჟორჟოლიანი. გადმოხვენებულია და დასაფლა-
ვებულია ლევლის ძმათა სასაფლაოზე.

— 16 დეკემბერს 1973 წელს, პარიზში, გარდაიცვალა
ეკატერინე იოსების ასული დადიანი. დასაფლავებულია
სენ-ჟენევიე დე ბუას სასაფლაოზე.

— 18 დეკემბერს 1973 წ. პარიზში, გარდაიცვალა
ლევან თვალაშვილი. დასაფლავებულია ლევლის ძმა-
თა სასაფლაოზე.

„თავისუფლების ტრიბუნა“ უღრმეს სამძიმარს მოახ-
სენებს განსვენებულთა ახლო ნათესავებს და მეგობ-
რებს.

შემომწირთველთა სია და ამ პირველი ნომრის ანგა-
რიში გამოქვეყნდება მეორე ნომერში.

Directeur : G. TSERETELI
193, Avenue du Belvédère
75019 PARIS

Tél. : 607.08.14